



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და  
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური  
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №33  
ივნისი, 2022

თბილისი, 2022

**ხელმძღვანელი:**

ნანუკა ყრუაშვილი

**ავტორი:**

ლიკა ჩხეტიანი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგინთ №33 ბიულეტენს, სადაც აღწერილია ივნისში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

## I. ცვლილებები „ქართულ ოცნებაში“

28 ივნისს გამართულ ბრიფინგზე „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ მმართველი პარტიის წევრი სამი დეპუტატი - სოზარ სუბარი, დიმიტრი ხუნდაძე და მიხეილ ყაველაშვილი - პარტიასა და „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციას ტოვებდნენ.<sup>1</sup> ისინი პარლამენტში საქმიანობას დამოუკიდებელი დეპუტატების მანდატით გააგრძელებენ.<sup>2</sup> მდინარაძის თქმით, გადაწყვეტილება დეპუტატებმა დამოუკიდებლად მიიღეს და მათი მოტივაცია „ე.წ. კულისებიდან პოლიტიკური ფაქტებისა და მოვლენების“ შესახებ საზოგადოებისთვის უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება იყო, ვიდრე ეს მმართველი გუნდის წევრობის ფარგლებში იქნებოდა შესაძლებელი.<sup>3</sup>

ამგვარი პოზიცია პარტიიდან წასულმა დეპუტატებმაც დაადასტურეს.<sup>4</sup> მიხეილ ყაველაშვილის თქმით, ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც ევროკავშირის სტრუქტურებთან ურთიერთობას შეეხებოდა, მათ ჰქონდათ „დისკომფორტი“, რომ საზოგადოება არასაკმარისად იყო ინფორმირებული. პარტიიდან წამოსვლის შემდეგ კი ისინი საჭირო ინფორმაციის გაზიარებას „ქართული ოცნებისთვის“ ზიანის მიყენების გარეშე შეძლებდნენ.<sup>5</sup> დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებასთან“ ღირებულებითი აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ იმაზე ჰქონდა, თუ რა დოზით უნდა სცოდნოდა საზოგადოებას სიმართლე.<sup>6</sup> ხოლო მანამდე, 10 ივნისს, ხუნდაძემ ევროპარლამენტის მიერ მიღებული კრიტიკული რეზოლუციის შეფასებისას აღნიშნა, რომ ქვეყანას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად ღირსება არ უნდა დაეთმო,<sup>7</sup> გარდა ამისა, საქართველოს თავისი დამოუკიდებლობის პერიოდში „ასეთი უსამართლო ევროპა“ არ ენახა.<sup>8</sup>

<sup>1</sup> „ქართული ოცნების“ Facebook-გვერდი, 2022 წლის 28 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aAcwog>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „ქართულ ოცნებას სამი დეპუტატი ტოვებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 28 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/498580>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>4</sup> „ყაველაშვილი: გვექნება თავისუფლება, რომ საზოგადოებას სიმართლე უფრო მეტად მივანოდოთ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 28 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31920164.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> „ხუნდაძე: პრაქტიკულად ყველა თემაში ვთანხმდებით [„ქართულ ოცნებასთან“], გარდა ერთისა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 28 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31920151.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>7</sup> „დიმიტრი ხუნდაძე ამბობს, რომ კანდიდატის სტატუსისთვის „ღირსებას ვერ დავთმობთ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 10 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/495616>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>8</sup> „დიმიტრი ხუნდაძე - თუ საქართველო სტატუსს უსამართლო ვალდებულებებით მიიღებს, ქვეყანამ მასზე უარი უნდა თქვას - სტატუსის მისაღებად ღირსებას ვერ დავთმობთ!“ საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Rv22Hy>, განახლებულია: 13.07.2022.

29 ივნისს საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე „ოცნებიდან“ წასული დეპუტატების ერთობლივი განცხადება გავრცელდა, რომლის მიზანი „საზოგადოების სიმართლით აღჭურვა“ იყო.<sup>9</sup> განცხადებაში ნათქვამია, რომ ევროკავშირის ნევრობის კანდიდატობის საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში ოპოზიციურმა პარტიებმა შემოიტანეს, რისი მიზანიც „საქართველოს ხელისუფლებისთვის პოლიტიკური ფონის დამძიმება და რევოლუციური მუხტის ხელოვნურად შექმნა იყო“.<sup>10</sup> ასევე, მათი აზრით, საქართველოს კანდიდატის სტატუსს არც 6 თვეში მიაწვდნენ, თუ მანამდე ის „ომში არ ჩაერთვება, ან რუსეთს სანქციებს არ დაუნესებს“.<sup>11</sup>

„ქართული ოცნებიდან“ დეპუტატების წამოსვლა არადაამაჯერებლად მიიჩნია „ლელო საქართველოსთვის“ ნევრმა სალომე სამადაშვილმა.<sup>12</sup> მისი აზრით, დეპუტატები რეალურად კვლავ „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმებით გააგრძელებდნენ მოქმედებას.<sup>13</sup>

## II. ცვლილებები „ნაციონალურ მოძრაობაში“

9 ივნისს დეპუტატის უფლებამოსილება ოფიციალურად შეუწყდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ საქართველოს პარლამენტის ნევრ ზაალ უდუმაშვილს.<sup>14</sup> მან პარტიის დატოვებისა და მედიაში დაბრუნების გადაწყვეტილება 29 მაისს თავად მიიღო.<sup>15</sup> აღსანიშნავია, რომ უდუმაშვილის წასვლის შედეგად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მეორე საპარლამენტო მანდატი დაკარგა.<sup>16</sup> ამასთან დაკავშირებით დეპუტატმა ლევან ბეჟაშვილმა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე ე.წ. „ჩახსნილი სიების“<sup>17</sup> საკითხზე კონსულტაციების დაწყება მოითხოვა.<sup>18</sup> მისი თქმით, ოპოზიციის მიერ „სიების ჩახსნისას“ პოლიტიკური ვითარება განსხვავდებოდა და პროპორციული სიით არჩეული დეპუტატების ადგილმონაცვლეობის თემა ახლებურ გადაწყვეტას საჭიროებდა.<sup>19</sup> ამის პასუხად, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ აღნიშნა, რომ „ქართულ ოცნებაში“ „ნაციონალური მოძრაობის“ „სისულელების გამოსწორებაზე“ ზრუნვას არ აპირებდნენ.<sup>20</sup> იგივე განაცხადა ირაკლი კობახიძემაც.<sup>21</sup>

<sup>9</sup> „საქართველოს პარლამენტის ნევრების - სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის და მიხეილ ყაველაშვილის განცხადება“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 29 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yBQidx>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> „კანდიდატის არაფრისმომცემი სტატუსი“ - რის სათქმელად გამოეყო „ოცნებას“ სამი დეპუტატი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 29 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31921840.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> „ზაალ უდუმაშვილს პარლამენტის დეპუტატის სტატუსი შეუწყდა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 9 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31890483.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> 1-ლი მანდატი „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ნიკა მელიასთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის შედეგად დაკარგა.

იხ. „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციური პარტიების მიერ „ჩახსნილი“ საარჩევნო სიების აღდგენას და ამ თემაზე კონსულტაციების დაწყებას ითხოვს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 9 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yBQidx>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>17</sup> ლიკა ჩხეტიანი, საინფორმაციო ბიულეტენი №29, თებერვალი, 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 6, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3o56Vt3>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>18</sup> „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციური პარტიების მიერ „ჩახსნილი“ საარჩევნო სიების აღდგენას და ამ თემაზე კონსულტაციების დაწყებას ითხოვს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 9 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3P36ZW9>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> „მამუკა მდინარაძე ოპოზიციური პარტიების „ჩახსნილი“ სიების აღდგენაზე - „ნაციონალური მოძრაობის“ სისულელების გამოსწორებაზე საერთოდ არ ვზრუნავთ!“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 9 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3avOECl>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>21</sup> „ირაკლი კობახიძე „ჩახსნილი“ სიებზე - სიების აღდგენასთან დაკავშირებით ჩვენ ინიციატივას არ განვიხილავთ!“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AMOA6c>, განახლებულია: 13.07.2022.

### III. მიხეილ სააკაშვილის საქმე

კერძო კლინიკა „ვივამედში“ გადაყვანის შემდეგ<sup>22</sup> მიხეილ სააკაშვილი ცენტრ „ემპათიის“ ალტერნატიული კონსილიუმის წევრებმა მოინახულეს.<sup>23</sup> ცენტრის ხელმძღვანელმა მარიამ ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობას სიმპტომატურად მკურნალობდნენ, თუმცა რეალური შედეგების მისაღებად მისი საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანა იყო საჭირო.<sup>24</sup>

28 ივნისს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) წევრების ნაწილმა დეკლარაცია გაავრცელა<sup>25</sup> და მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას „შემამფოთებელი“ უწოდა. მათი განცხადებით, გონივრული იყო პაციენტის ევროპულ კლინიკაში გადაყვანა.<sup>26</sup>

### IV. საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები

#### 4.1. ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოში მედიის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ

9 ივნისს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით „საქართველოში მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების დარღვევა“.<sup>27</sup> რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საქართველოში მკვეთრად გაუარესდა მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების ხარისხი.<sup>28</sup> ევროპარლამენტარებმა მოუწოდეს ქვეყნის ხელისუფლებას, დაეცვა დემოკრატიის უმაღლესი სტანდარტები, კანონის უზენაესობა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებები.<sup>29</sup> რეზოლუცია ასევე შეიცავდა მიმართვას ევროკავშირის სტრუქტურებისადმი, რომ ამ პირობის შესრულების შემთხვევაში ემუშავათ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მიმართულებით.<sup>30</sup> აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს მთავრობაზე „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის უარყოფით ზეგავლენაზე და ურჩია ევროკავშირის საბჭოს, მისთვის პერსონალური სანქციები დაეკისრებინათ.<sup>31</sup>

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, რეზოლუცია ერთგვარი მინიშნება იყო, რომ საქართველო, უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, კანდიდატის

<sup>22</sup> ლიკა ჩხეტიანი, საინფორმაციო ბიულეტენი №32, მაისი, 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 6, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3PqIRMS>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>23</sup> „ალტერნატიული კონსილიუმის წევრებმა მიხეილ სააკაშვილი „ვივამედში“ მოინახულეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 1-ლი ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31879038.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> „PACE-ის წევრები: აზრს მოკლებული არაა სააკაშვილის ევროპულ კლინიკაში გადაყვანა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 28 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31919490.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>26</sup> „Mikheil Saakashvili needs medical help“, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), 2022 წლის 27 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AHqbEJ>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>27</sup> „ევროპარლამენტის რეზოლუცია ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების დანესებას ითხოვს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 9 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/495386>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>28</sup> „Human rights breaches in China, Nicaragua and Georgia“, ევროპული პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 9 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NYzyCN>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> იქვე.

სტატუსს ვერ მიიღებდა, რაც „სრულიად ალოგიკური და უსამართლო გადაწყვეტილება“ იქნებოდა.<sup>32</sup> მან ასევე აღნიშნა, რომ ევროპარლამენტი „ფეიკის“<sup>33</sup> მსხვერპლი გახდა და რეზოლუციას „ჩალის ფასი“ ჰქონდა.<sup>34</sup>

## ევროპული კომისიის მოსაზრება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ

17 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე ევროპული კომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა წარადგინა კომისიის მოსაზრება უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.<sup>35</sup> კომისიამ რეკომენდაცია გასცა უკრაინისა და მოლდოვისთვის კანდიდატის სტატუსის, ხოლო საქართველოსთვის - ევროპული პერსპექტივის მინიჭების თაობაზე.<sup>36</sup> ლაიენმა აღნიშნა, რომ საქართველოსთვის წარდგენილი იქნებოდა რამდენიმე წინაპირობა, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც ხელახლა განიხილებოდა ქვეყნისთვის კანდიდატობის მინიჭების საკითხი.<sup>37</sup> ევროპული კომისიის პრეზიდენტის თქმით, საქართველო პოლიტიკურად უნდა გაერთიანებულიყო და შეემუშავებინა სტრუქტურული რეფორმებისა და ევროკავშირისკენ მიმავალი მკაფიო გეზი.<sup>38</sup> ამავე პრესკონფერენციაზე ევროკავშირის კომისარმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში, ოლივერ ვარჰეიმ, დამატებით განაცხადა, რომ კანდიდატის სტატუსის მინიჭებამდე აუცილებელი იყო ქვეყანაში პოლიტიკურ პარტიებს შორის პოლარიზაციის დასრულება, სასამართლო რეფორმის გატარება და მედიის თავისუფლების დაცვა.<sup>39</sup>

ევროკომისიის მიერ მომზადებულ მოხსენებით ბარათში ჩამოთვლილია 12 პრიორიტეტული საკითხი, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც კომისიის რეკომენდაციაა, რომ საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი.<sup>40</sup> მოხსენებით ბარათში ასევე აღნიშნა, რომ კომისია ექვსი თვის განმავლობაში დააკვირდებოდა საქართველოს პროგრესს პრიორიტეტების შესრულების მიმართულებით და 2022 წლის ბოლოს ამასთან დაკავშირებით ანგარიშს გამოაქვეყნებდა.<sup>41</sup> პრიორიტეტულ საკითხებში მოხვდა პარტიებს შორის პოლარიზაციის შემცირება, 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთების საფუძველზე თანამშრომლობა, პოლიტიკური ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირების, დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, დეოლიგარქიზაცია და ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მიერ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზით საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესება.<sup>42</sup>

კომისიის მოსაზრების გავრცელების შემდგომ ევროპარლამენტარმა რასა იუკნევიჩიემ “Twitter-

<sup>32</sup> „ირაკლი კობახიძე: ევროპარლამენტის რეზოლუციას „ჩალის ფასი აქვს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 9 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/495345>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> „კომისიის რეკომენდაცია საქართველოზე: ჯერ პირობების დაკმაყოფილება, შემდეგ კანდიდატის სტატუსი“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 17 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/496633>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>36</sup> იქვე.

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> Ursula von der Leyen, Twitter post, 2022 წლის 17 ივნისი, 2:11 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3PpLFtK>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>39</sup> „კომისიის რეკომენდაცია საქართველოზე: ჯერ პირობების დაკმაყოფილება, შემდეგ კანდიდატის სტატუსი“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 17 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/496633>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>40</sup> „ევროკომისიის მოხსენებითი ბარათი: რეკომენდაციები საქართველოსთვის“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 17 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/496671>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>41</sup> იქვე.

<sup>42</sup> „საიას განმარტება ევროპული კომისიის მოსაზრებასთან დაკავშირებით“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2022 წლის 18 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lxqTGz>, განახლებულია: 13.07.2022.

ter"-ზე დაწერა, რომ კომისიის ამგვარი რეკომენდაცია მოსალოდნელი იყო.<sup>43</sup> მისი აზრით, საქართველომ, რომელიც მანამდე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების რიგებში მოწინავე პოზიციას იკავებდა, ლიდერობა ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლების გამო დაკარგა.<sup>44</sup> საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჯოზეფ ბორელის განცხადებით კი, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი ამ ეტაპზე ვერ მიიღო, საქართველო მტკიცედ იდგა ევროინტეგრაციის გზაზე.<sup>45</sup>

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ კომისიის მოსაზრებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის გამო, უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატობის სახით ევროკავშირისგან „ერთგვარი მცირედი წახალისება“ უნდა მიეღოთ.<sup>46</sup> მისი აზრით, გულდასაწყვეტი იყო, რომ საქართველო კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებდა, თუმცა „საქართველოს, უკრაინისა და, თუნდაც, მოლდოვისგან განსხვავებით, ამ სტატუსის მისაღებად აუცილებელი მსხვერპლი დღეს არ გაუღია“.<sup>47</sup> პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა კი მიუთითა, რომ საბჭოს რეკომენდაციების უდიდესი ნაწილის განხორციელება ისედაც გათვალისწინებული იყო მთავრობის დღის წესრიგით, ახლა კი კანდიდატის სტატუსის მიღების მიზნით, ბრიუსელთან ერთად, ამ მიმართულებით კიდევ უფრო აქტიურად იმუშავებდნენ.<sup>48</sup>

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნიკა მელიამ ყურადღება გაამახვილა კომისიის მიერ გაცემული დეოლიგარქიზაციის რეკომენდაციის მნიშვნელობაზე.<sup>49</sup> პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნათია მეზვრიშვილმა ხელისუფლებას მოუწოდა, 24 ივნისამდე პასუხისმგებლობა აეღო კომისიის რეკომენდაციებით გათვალისწინებული აუცილებელი რეფორმების განხორციელებაზე.<sup>50</sup>

## ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსი მინიჭების თაობაზე

23 ივნისს ბრიუსელში ევროკავშირის სამიტზე ევროკავშირის სახელმწიფოების მეთაურებმა გაიზიარეს ევროკომისიის რეკომენდაცია საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის, ხოლო უკრაინისა და მოლდოვისთვის - კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე.<sup>51</sup> ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ქართველ ხალხს ევროპული პერსპექტივის მოპოვება მიულოცა და აღნიშნა, რომ საქართველოს მომავალი ევროკავშირში იყო. კომისიის მოსაზრებით, განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების შემთხვევაში ქვეყანა კანდიდატის სტატუსსაც მიიღებდა.<sup>52</sup> სამიტის

<sup>43</sup> Rasa Juknevičienė, Twitter post, 2022 წლის 17 ივნისი, 4:07 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ALL3dN>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> Josep Borrell Fontelles, Twitter post, 2022 წლის 17 მაისი, 4:49 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3RI4HOf>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>46</sup> „კობახიძის თქმით, ომის დროს აუცილებელი იყო, ევროკავშირს უკრაინა და მოლდოვა წახალისებინა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 17 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31902718.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>47</sup> „საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, ამ სტატუსისთვის აუცილებელი მსხვერპლი დღეს არ გაუღია“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 17 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31902737.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>48</sup> „ირაკლი ლარიბაშვილი ევროკომისიის შეფასებას ეხმიანება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 20 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/496962>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>49</sup> „ოპოზიცია ევროკომისიის შეფასებას ეხმიანება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 17 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/496738>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>50</sup> იქვე.

<sup>51</sup> „ევროპულმა საბჭომ უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, საქართველოს კი - არა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 23 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31912319.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>52</sup> Charles Michel, Twitter post, 2022 წლის 23 ივნისი, 10:21 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3PeQ6HU>, განახლებულია: 13.07.2022.

წინ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში, ჟოზეფ ბორელმა, აღნიშნა, რომ კრიტიკიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს კანდიდატის სტატუსი ავტომატურად მიენიჭებოდა.<sup>53</sup>

ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას გამოეხმაურა ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი,<sup>54</sup> რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ 6 თვეში საქართველოს კანდიდატის სტატუსის მიღებასაც იზეიმება. ხოლო ამისთვის მთავრობას რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით აქტიური მუშაობა უნდა დაეწყო.<sup>55</sup>

ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ევროკავშირმა საქართველოს ოფიციალურად გაულო კარი და ეს ქვეყნის ისტორიული მიღწევა იყო.<sup>56</sup> მისი თქმით, მთავრობა მობილიზებული იყო, დროულად შეესრულებინა კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად საჭირო ყველა პირობა.<sup>57</sup>

## **პროევროპული დემონსტრაციები და სახალხო დისკუსია ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებაზე**

20 ივნისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მასშტაბური პროევროპული დემონსტრაცია გაიმართა,<sup>58</sup> რომელსაც ათიათასობით მოქალაქე ესწრებოდა.<sup>59</sup> ისინი მხარს უჭერდნენ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას და აპროტესტებდნენ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების არაეფექტიან პოლიტიკას ევროინტეგრაციის მიმართულებით.<sup>60</sup> აქცია 23-24 ივნისს ევროკავშირის საბჭოსგან საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინის ფონზე წარიმართა და ევროინტეგრაციის პროცესისთვის ფართო სახალხო მხარდაჭერის დემონსტრირებას ისახავდა მიზნად. დემონსტრანტებს აქციაზე სიტყვით ევროპარლამენტარებმაც მიმართეს.<sup>61</sup> აქციის მეორე დღეს საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა 20 ივნისის აქცია შეაფასა, როგორც „დიდი, ღირსეული და მშვიდობიანი გამოხატვა საქართველოს პროევროპული არჩევანისა“.<sup>62</sup>

24 ივნისს მოძრაობა „სირცხვილიას“ ორგანიზებით რუსთაველის გამზირზე კიდევ ერთი პროევროპული დემონსტრაცია გაიმართა, რომელშიც ათასობით მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა.<sup>63</sup> იმის გამო, რომ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის

<sup>53</sup> „ბორელი: როდესაც საქართველო კრიტიკიუმებს დააკმაყოფილებს, კანდიდატის სტატუსი ავტომატურად მიენიჭება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 23 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31911610.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>54</sup> „იმედი მაქვს, 6 თვეში საქართველოს კანდიდატობას ვიზეიმებთ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31913289.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>55</sup> Viola von Cramon, Twitter post, 2022 წლის 24 ივნისი, 11:50 AM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3P4Jk7U>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>56</sup> „ირაკლი ლარიბაშვილი: საქართველომ მიიღო ის, რაც დავიმსახურეთ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31913336.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> „ევროპული მომავლის დასაცავად თბილისში ათიათასობით მოქალაქე შეიკრიბა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 21 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/497223>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> რასა იუკნევიჩიენე, მარკეტა გრეგოროვა, ჟიგიმანტას პავილიონისი, ანდრიუს კუბილიუსი, ანა ფოტიგა. იხ. „სირცხვილია • Shame Movement“ Facebook-გვერდი, 2022 წლის 20 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3APQxnY>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>62</sup> „გუშინ ვიხილე პროევროპული არჩევანის ღირსეული და მშვიდობიანი გამოხატვა - ჰარცელი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 21 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31908093.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>63</sup> „თბილისში კიდევ ერთი მრავალათასიანი პროევროპული აქცია მიმდინარეობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/498072>, განახლებულია: 13.07.2022.



კანდიდატის სტატუსის მოპოვება, აქციის ორგანიზატორებმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის, ასევე მთავრობის სრული შემადგენლობის გადადგომა და „ეროვნულ თანხმობაზე დაფუძნებული“, „დროებითი“, „ტექნიკური“ მთავრობის ჩამოყალიბება მოითხოვეს.<sup>64</sup> მანამდე, 20 ივნისს, ტექნიკური მთავრობის შექმნის იდეა გააჟღერა მიხეილ სააკაშვილმაც.<sup>65</sup> აქციის ორგანიზატორთა თქმით, მომდევნო 6 თვის განმავლობაში ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებლობას სწორედ ახალი მთავრობა აიღებდა.<sup>66</sup> ერთ-ერთი ორგანიზატორის, შოთა დიღმელაშვილის განმარტებით, ეროვნული თანხმობა ოპოზიციის, ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების კონსენსუსის საფუძველზე ჩამოყალიბებულ, ნეიტრალური ადამიანებისგან შემდგარ მთავრობას გულისხმობდა.<sup>67</sup> ამ მოთხოვნის შესასრულებლად ირაკლი ლარიბაშვილს ერთკვირიანი ვადა მიეცა და შემდეგი აქცია 3 ივლისისთვის დაანონსდა.<sup>68</sup> ამავე დღეს აქციაზე შეკრებილმა მოქალაქეებმა ახალი სამოქალაქო მოძრაობა „შინ ევროპისკენ“ დააფუძნეს.<sup>69</sup>

აქციის მოთხოვნებს პარტია „ლელო საქართველოსთვის“ შეუერთდა.<sup>70</sup> მათი პოზიციით, თუ „ქართული ოცნება“ 3 ივლისამდე უარს იტყოდა 24 ივნისის აქციაზე წამოყენებული მოთხოვნების შესრულებაზე, პარტია საკრებულოებსა და პარლამენტში „ჩვეულებრივ რეჟიმში საქმიანობას“ აღარ გააგრძელებდა.<sup>71</sup>

ირაკლი ლარიბაშვილმა განაცხადა, რომ მისი გადადგომის მოთხოვნა „აბსურდი“ იყო და გადადგომას არ აპირებდა, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ მისი მთავრობის ვალდებულებაში შედიოდა ყველა წარმოდგენილი პირობის ბოლომდე შესრულება.<sup>72</sup> პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა კი აღნიშნა, რომ აქციაზე დაყენებული მოთხოვნები მხოლოდ „ძალაუფლების მიტაცების სურვილს“ გამოხატავდა.<sup>73</sup>

<sup>64</sup> „პროევროპული აქციის მონაწილეები პრემიერისა და მთავრობის გადადგომას მოითხოვენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/498086>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>65</sup> მიხეილ სააკაშვილის Facebook-გვერდი, 2022 წლის 20 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Rvx55R>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>66</sup> „პროევროპული აქციის მონაწილეები პრემიერისა და მთავრობის გადადგომას ითხოვენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/498086>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>67</sup> „რას ნიშნავს ეროვნული თანხმობის მთავრობა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31913992.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>68</sup> „პროევროპული აქციის მონაწილეები პრემიერისა და მთავრობის გადადგომას ითხოვენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/498086>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>69</sup> „ლელო“ უერთდება მოძრაობის „შინ ევროპისკენ“ მოთხოვნებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 25 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31914814.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>70</sup> იქვე.

<sup>71</sup> „მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში „ლელო“ პარლამენტსა და საკრებულოებში ჩვეულებრივ რეჟიმში საქმიანობას არ აპირებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 27 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31917192.html>, განახლებულია: 13.07.2022.

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> „პაპუაშვილი 24 ივნისის აქციის მოთხოვნებზე: სხვა არაფერია, თუ არა ძალაუფლების მიტაცების სურვილი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 28 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31919396.html>, განახლებულია: 13.07.2022.